



მილიონთა შკლავმა დაჰკრა  
მძლე ჩაქუჩი ძველ ბორკილებს,  
ძღვევის დროშა ხელთ უპურიათ  
გულანთებულ შრომის შვილებს

ჩვენ გავჰკვივით: ომი ომსა!  
ვერვინ უჩსძლებს, ჩვენ რომ ვცდივით  
კომინტერნის მებრძოლ დროშით  
წითლად მოფეფნთ მთელ მსოფლიოს!

# ე ქ ს კ უ რ ს ი ა მ ს ო ჯ ლ ი ო ზ ი



ომის შესახებ იმდენს ვაიძახებ, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ საკუთარი თვალთ დაგვეთვალეოვებია ზოგიერთი ქვეყნები და დავრწმუნებულიყავით, თუ რამდენათ მართალია კომინტერნი, რომელიც ხშირად ვაიძახის მოახლოვებულ ომის ახალ საშინელებასზე.

ვის, რომელ მოქალაქეს ეპარება იქვი მაკდონალდის მშვიდობიან ზრახვებში? ყველამ უწყის, თუ როგორ უყვარს მას ზავი მრეწველობაში, როცა ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ სამრეწველო მგელი სამრეწველო ცხვარს აწოვებს ძუძუს, ანუ კაპიტალს სტურთი ყორანი მტრედის კვერცხების დებას იღებს პროფესიად. თუ კი მაკდონალდი ასე შესტრფის ზავს მრეწველობაში რაღას იწამს იგი საერთოდ ცხოვრებაში?

არა ნაკლები გრძობებით არის გაუღწეოთ ამერიკის ახლად გამოხიკინებული პრეზიდენტი ჰუვერი, რომელიც „რეჩებსაც“ კი ამბობს მუდმივი მშვიდობიანობის შესახებ. რაღა ითქვას მუსოლინი-პილსუდსკ-პუანკარე-მტრეზემანზე, — ისინი ხომ ყველანი მამა აბრამის ბატონობის პრეტენზიებით გამოდიან და ისიც საქვეყნოთ? ხოლო რაც შეეხება ჩან-კაი-შის, მართალია, მან ამ ბოლო დროს ტლინკები აყარა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი ჯიშის ცხოველს, როგორიც არის ჩანი, უტლინკებით ცხოვრება არ შეუძლია.

პირველი ვიზიტი, რასაკვირველია, ეკუთვნოდა ინგლისს.

— რად გინდათ ეს მოჯავნული დრედნოუტი? — იყო ჩვენი პირველი კითხვა.

— რასაკვირველია, არა საომარ მიზნებისათვის, — სასწრაფოდ გვიპასუხეს მათ, — ეს უბრალო გემია, მაგრამ შეფოლადებულია იმიტომ, რომ შიგნით არ შევიდეს. ამას გარდა, თქვენ იცით, რომ ამერიკას ამაზე უარესი დრედნოუტები არ ყავს...

— ეს ვეება ზარბაზნები რაღა საჭიროა?

— ეს მხოლოდ ტონაჟისთვის, სიმძიმისთვის, თორემ ჩვენ ომი არ გვსურს... ამას გარდა, ალბათ უწყით, რომ ამერიკას, საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებს ამაზე ნაკლები ზარბაზნები არ აქვთ. ამიტომ ზარბაზნები ჩვენც გვაქვს, რომ სხვებთან სიარტხვილი არ ვჭამოთ...

— ამოდენა ჰაერობლანები რაღა საჭიროა?

— ეს მხოლოდ სამიმოსვლო მიზნებისთვის... ამას გარდა, თქვენ იცით რომ სხვა სახელმწიფოებს ამაზე ნაკლები ჰაერობლანები არ ყავთ, ამიტომ...

— ეს გაზების ქარხნები რაღად გინდათ?

— ეს მხოლოდ თავის შესაქცევად, აქ ჩვენი სპეციალისტები ვარჯიშობენ. ჩვენ თითონ არ ვართ დანტერესებული ქიმიური ომით, თუმცა თქვენ ალბათ იცით, რომ სხვებსაც მრავლად აქვთ ქიმიური ქარხნები...

— ამ ჯარებს რატომ წვრთნით და ინახავთ?

— ტრადიცია, ბატონო, ტრადიცია... ამას გარდა, თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ სხვა სახელმწიფოებს ამაზე მეტი ჰყავთ რეგულიარული ჯარები...

გადავედით ამერიკაში.

დრედნოუტებს ადგილი აღარ მორჩენიათ ზღვაში, ყველა სრუტეები და ნავთსადგურები სავსეა.

— რა ამბავია ამდენი დრედნოუტები?

— ეს მხოლოდ სავაჭრო მიზნებისათვის გარწმუნებთ, თუმცა... სხვა სახელმწიფოებს...

— ეს წყალქვეშა ნაიბი? სპორტის გულისათვის ამას გარდა, თქვენ ხომ იცით, რომ სხვა ქვეყნებს...

— ეს თვითმფრინავები?

— ესეც სპორტისათვის, თუმცა თქვენ მოგეხსენებათ, რომ სხვაგან... გაზებს ამზადებთ?

— ცოტ-ცოტას, ისიც, სპორტის ასაყვავებლათ, თუმცა... საერთოდ, ჩვენ ომი არ გვიყვარს, ისეც კარგად ვჭამთ პურს.

— თქვენზე ამბობენ, რომ სამხედრო ბიუჯეტს ადიდებთ!

— ტყუილია, მაგას ინგლისი და საფრანგეთი მოჭორავდენ! ჩვენ შეიარაღებულ, მომზრე არ ვართ, პირიქით, ყოველთვის ვავიძახით, რომ საჭიროა ევროპის და პიველ რიგში საბჭოთა კავშირის განარაღება.!

მილიტარისტული ამერიკა მივატოვეთ და საფრანგეთის სიამაყეს, ლორი განკოტის სამშობლო პარიზს მივაღიქით.

საფრანგეთის ომის ღმერთის მოადგილე და სრულფელებიანი წარმომადგენელი ამ ცოდვილ ღელამიწაზე — ბებერი პუანკარე ქალაქის ერთ-ერთ რაიონში ვიპოვეთ, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან (პარიზში არის ე. წ. უცნობი ჯარისკაცის საფლავი).

— რა ამბავი იყო, რომ იმდენი ხალხი დაიხოკეთ, — ეუბნებოდა პუანკარე დაღუპულ ჯარისკაცს, — ხომ იცით, დღეს-ხვალ ომს ვიწყებთ და ჯარისკაცები ბებერი გვეკირდება? საყვედური დიდი საყვედური მენ შენს ამხანაგებს, რომლებმაც მიატოვეთ თქვენი საფრანგეთი და საიქიოს მიაშურეთ...

ჩვენ რომ დავგინახა, ბებერმა ცრემლები მოიწმინდა ფრკის კუდით და შემოგვიჩივლა, რომ გერმანია იარაღს აჩნარუნებს და ახალი ომისთვის ემზადება.

— ამიტომ, — განაგრძო

ჩვენც, საწყალი ფრანგები იძულებული ვართ რაღაც-რაღაცები გავაქეთოთ სამხედრო დარგში, თორემ თქვენ იცით, რომ ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ.

— არა, ამბობენ, რომ თქვენ გაფაციცებით ემზადებით ომისთვის.

— აშკარა ცილისწამებაა და ისიც გერმანიისა და რუსეთის მოგონილი: ჩვენ და ომ? არა მუსიე, ამ ბებერ კაცს რაღა მეომება? იცოცხლეთ, ომი კარგი იყოს, მაგრამ მაგის თავი ვისა აქვს?

— მაშ იარაღს რატომ ამზადებთ?

— რატომ? ისე, ინერციით: ჩვენ გვაქვს სამხედრო ქარხნები და ისინი განაგრძობენ მუშაობას. ჩვენი რა ბრალია? ამას გარდა, სხვებიც ხომ ისხამენ იარაღს? მე რე კიდევ ამოდენა ქარხნები რომ დავცეტოთ, ხომ გავიმრავლდება უმუშევრები?

საფრანგეთიდან იტალიისაკენ გავფრინდით, მაგრამ იძულებული გავხდით უკან გამოვბრუნებულიყავით, რადგანაც ჰაერი მოწამლული იყო ფაშისტური ყაიღის გაზებით, რომელთაც მუსოლინი საცდელათ უშვებდა მუშათა უბნებისაკენ.

ასეთივე მდგომარეობა იყო პოლონეთში, სადაც საფრანგეთის მიერ ძღვნათ გამოგზავნილ სათამაშოებით (ზარბაზნებით, ტანკებით, მხრჩოლავი გაზებით და სხვ). ირთობდენ თავს რაინდნი უმიშარნი და ქედმაღლნი პილსუდსკელნი.

თვით ისეთი პაწაწკინა სახელმწიფოებიც კი, როგორც არის ბელგია, ჩენო-სლოვაკია, რუმინეთი და სხვები, საკუთარი თოფ. ზარბაზნების ჩნარუნით სტკებოდენ და მსოფლიო ჰეგემონობის გეგმებს ადგენდენ.

ჩინეთში თვალთ მოგკარით რეთრ-გვარდიელის გახუნებულ ფარაჯას, რომელშიაც რომელიღაც ღენერალი-სიმუსი იყო გამოხვეული... აშკარად გავიგონეთ მისი ხმა, რომელიც ჩან-კაი-შის ემუდარებოდა:

— ო, უდიდესო და უჩანკაიშესო ჩანო, მოუღებ მოწყალეება და უბრძანებოლ შევიკებს დასტოვონ რუსეთის საზღვრები...

ისეც საბჭოთა-კავშირის საზღვრები ვადმოველეთ და ზღვა მიტინგების ტალღებში გავეხვეით.

— რა ამბავია? ჩვენებიც ომისათვის ხომ არ ემზადებან? — შევსძახეთ მუშებს.

— არა, ომისათვის და თავდაცვითათვის კარგი ხანია მზად ვართ.

— მაშ ეს მიტინგები რისია?

— ეს ის არის... ინდუსტრიალიზაციის შესამე სესხის გამოშვებას მოითხოვენ! — მოიხმა პასუხი.



თანამედროვე ჰამლეტი  
მაკლონალი: „ცნობა?.. არ  
ცნობა?.. საკითხავი აი ეს არის!

მაკლონალი, რომელიც არჩევენ-  
ის დროს რიხით მოითხოვდა საბ-  
ქოთა კავშირთან ურთიერთობის  
აღდგენას, აგვიანებს ამ საკითხის მო-  
გვარებას.

### სამოელე

ვინ არ იცნობს მას ამ ხანად,  
სად არ გინდა, რომ არ იყოს...  
სამოელე,  
კაცი გაცილი  
სიტყვით ქვეყნის ამაშენო.  
(თუ მის სიტყვას დაუფერე:  
აშენდება მამა-შენი)  
სწრაფ გაგაცნობს სამოელი,  
თუ შენგან ან შენით სხვისგან  
ცოტახ მაინც გამოელის.  
„დაბად“ ხალხთან არის მგელი,  
„დიდ“ კაცებთან ღაჭუცა და  
თუ დასჭირდა  
თავსაც მოიკომუნებტებს.  
მამად ვიფიცებს,  
რკინისა აქვს მოთმინება  
და ხიმტიცა.  
პატივი გცა: გაგაცილა,  
მრავლფერადაც გაგაცანა.  
თავის საქმე თუ ჩაჩარხა,—  
შობრუნდება  
თითქოს შენი დატოვება შეშურდება...  
მაგრამ როცა მოგცილდება,  
ერთ-დროს კიდევ მოგაფრთხებს  
შემდეგ სხვასთან გააბამს ქსელს,  
დად კაცებთან საქმეს იჭერს.  
სამსახურის მას ვინ დაუჭერს  
მგელთან — ცხვარია,  
ცხვართან ცხარეა.  
მგელსაც მოუქცევს მზარს:  
ძალდად გამოიყენებს ცხვარს.



პირში რაც უნდა უთხრა,  
ყველაფერს აიტანს.  
შემდეგ კი ისეთ სამარცს გაგითხრის,  
რომ თვითონ ჩაწვები შიგ)  
(უარს ვეღარ იტყვი).  
რაც მოხიანს თვალთ,  
ორი იმდენი  
მიწას ქვეშა დაშალული.  
არავის უნახავს ჯერ საქმით დაღალული  
თითქოს გატაცებულია  
საბჭოთა აღმშენებლობით.  
ყველას ესაუბრება „ამხანაგო“-თა  
და ძმობით.  
ეტრფის ვითომ მუშის ცხოვრებას,  
თუმცა იგი ძლიერ ეუცხოება.  
სხვისი წარმატება  
იმდენად უხარია,  
რამდენადაც ეს მისი ზუხარია.  
როგორც მოჭიფე,  
ყველასათვის მოსაწონია,  
მის ყელში მგონი გრამაფონია.  
მაგიდაზე მისი ტოლი ნურავინ გგონია  
სადღერაქმელის  
იტყვოს ისეთ სასახელოს  
რომ ორი სიტყვით  
ააშენებს საქართველოს.  
თუ ვერავინ შეამჩნია,  
მატულთან ერთად ტყავსაც აცლის...  
მაგრამ ეხლა კი, ჩემო სამოელო,  
ნუ გგონია ძველებურად  
ვინმე თავზე შემოგვევლოს  
ისეთი ვინმე გაგაბამს  
შენივე დაგებულ მახეში,  
რომ უწინ  
მას არც კი შეხედავდი სახეთი.

კგმუნტი.





# ტარტაროზის კალენდარი

საქრებულო  
პატივით

1926 წ. დეკაბრისტების გასამართლება  
დეკაბრისტების აჯანყება მოხდა 1825 წელს. ეს იყო პირველი დიდი შეთქმულება რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, და სრულიად გასაკვირი არ არის, რომ, როგორც პირველი ცდა და, მაშასადამე, ბევრ საამისო გამოცდილებას მოკლებული, ეს აჯანყება დამარცხებით გათავდა. ასი წელიწადი კიდევ იბოგინა, ამის შემდეგ მეფის ბიუროკრატიულმა წყობილებამ. მან გაასამართლა არა მარტო დეკაბრისტები, არა მედ ბევრი პატიოსანი მეგრძოლი და შეთქმული უპატიოსნებასა და ტირანიაზე დამყარებული მეფის ტახტის წინააღმდეგ, სანამ ძლევდა - მოხილმა მუშა - ხალხმა უსასტიკესად არ გაასამართლა თვითონ მეფე და მთელი ის წყობილება, სადაც მტკიცედ იყო ჩამდგარი მეფის ტახტი, რომელიც ძირიან ფეხვიანად ამოაგდო აქიდან და სრულიად აღგავა პირისაგან ქვეყნისა ამ „სასტიკმა მსაჯულმა“.

ივლისი  
22  
ორშაბათი

მძღვანელობდნენ სიკვდილით დასჯის ისევე ალდგენის დროს. ის კი ცხადია, რომ ეს ზომა მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ დარჩენილა პატივ უცემელი არც საღვთო წერილი, სადაც სწერია: „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარსწყმნდესო“.

სწორედ ისე, როგორც წარსწყმნდა ამ შემთხვევაში „მახვილის ხელში ამღებო“ დროებითი მთავრობა.

ივლისი  
26  
პარასკევი

1927 წ. გაიხსნა ზაპსი.  
ორად ორი სიტყვა: „გაიხსნა ზაპსი“ საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ნიშნავს მთელი უახლესი ისტორიის უძირო შინაარსს, ესე იგი, უთვალავ თავებს, ფუტკალებს და გვერდებს; შინაარსს, რომელიც ყველა მომავალ თაობათა თუ დღევანდელ კეთილშობილ ადამიანთა გულის ავსებს იმედითა და გამარჯვების ურყევი დაჯვრებით, როცა ამას ვამბობთ ჩვენ, აგრეთვე იმასაც ვგულისხმობთ, რომ ყველას არ გახარებია ზაპსის მოვლინება. არის ანდაზა: „ქურდს რა უნდა და—ხელი დამეო“. ზაპსმა კი ერთის დაკერით მოსპო ხელი დამეების ჩვენში იდესმე არსებობის თვით შესაძლებლობაც-კი.

მაშასადამე, ქურდებსა და ცუდათ მავალ ადამიანებს, რომლებიც მშრომელი კლასის დაჩაგრებასა და დამონებაზე ხელიდობენ თავიანთი ბატონობის ტახტის დამყარებას, ზაპსის შუქი არა მარტო თვალში, პიოლადი გულშიც ხვდებათ და ხვდებათ არა როგორც ცხოველმყოფელი და დამამებელი სინათლე, არამედ როგორც მწველი ცხელი და მისუბრელი ელვამენი.

ივლისი  
23  
სამშაბათი

1920 წ. ბოლონეთის წინადადება დროებითი ზავის შესახებ.  
ჯერ წარმოდგენილია ბოლონეთთან ზავი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სანამ იქ „პილსულსკები“ ბატონობენ. ხოლო თუ კი რამეფრად მაინც არსებობს რაიმე ზავი ბოლონეთთან, იგი მაინც ყოველთვის „დროებითია“, ვინაიდან, შენ აზრადაც რომ არ მოგდიოდეს ამ ზავის რითიმე შეზღავდა, არა გაქვს არავითარი ვარანტია, რომ მას არ შეგიღიასხვს მოპირდაპირე, ვინაიდან პილსულსკები ისე ერთ წუთსაც ვერ გასძლებენ, რომ შენი უსაზღვრო მშვიდობიანობითა და პატიოსანი შრომით დატვირთული ნერვები ან ხმლის ჩხარუნით არ გაგიღიზიანონ, ან კიდევ ღეზების გულის გამაწვრილებელი უღარუნით.

1794 წ. რომბსპერის ჩამოგდება.  
საფრანგეთის დიდი რევოლუციის დიდი ტრიბუნი და დიქტატორი, რომბსპერი, სანკიულოიტების ლიდერი, პარიზისა და მთელი საფრანგეთის დაბალი წოდების ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, იყო აღმართვანებული და მოუსყიდველი რევოლუციონერი, მარატის ლიოთელი მემკვიდრე და განგრძნობა, თუ შეიძლება ასე ითქვას. რომბსპერის ხანა — ეს უფრო დაბალი ფენების ბატონობის ხანა იყო, რომელიც შემდეგ შესცვალა ცნობილმა დიქტატორმა, სოლო ამ უკანასკნელმა თანდათან ნაპოლენ ბონაპარტს დაუთმო და შემუშავდა სამეფო ტახტი. ამ რიგით, ტახტის დაღწეით დაწყებული რევოლუცია, რომელშიც რომბსპერი ისეთ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, რომ იყო მეფე ლიუდვიკის სიკვდილი დასჯის ერთ-ერთი ავტორთაგანი, იმავე რომბსპერის სიკვდილმა თანდათან ისევ მეფობის აღდგენამდის მიიყვანა.

ივლისი  
24  
ოთხშაბათი

1917 წ. დაიწყო გამოძიება 16-18 ივლისის აჯანყების გამო.  
ეს აჯანყება მოაწყო პეტროგრადის პროლეტარიატმა თადლითი და მოალაატე დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. მას, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია ლენინის მეთაურობით. აჯანყება დამარცხდა და დროებითი მთავრობაც შეუდგა იმის გამოძიებას, თუ ვინ შეთაურობდა აჯანყებას ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ვინ იყო მისთვის ყველაზე უფრო საშიში, რათა ამით ჩამოშორებით განემტკიცებია და განხარგძლიებია თავისი ბატონობა. არ ვიცით, მოასრულა თუ არა ამისი „საფუძვლიანად“ გამოძიება უზადრუკმა კერენსკის მთავრობამ, ხოლო რომ ეს მთავრობა სავსებით წარეცხა პირისაგან ქვეყნისა ოქტომბერში განმეორებულმა ამავე აჯანყებამ, აი, ამას კი აღარ ეცოროვება არავითარი გამოძიება.


ივლისი  
27  
შაბათი

1914 წ. დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი.  
თითქმის ოთხი - ხუთი წლის განმავლობაში ამ ომმა შეარყია მთელი ქვეყნის მეურნეობა, დასცა და გააღატაკა ისეთი სახელმწიფოები, როგორც იყვენ გერმანია და ავსტრია. ეს უკანასკნელი თითქმის სრულიად მოსპო და გაანადგურა. საფიქრალი იყო, რომ ასეთი დიდი და მწარე გავრეითი ხალხს ჭკუას ასწავლიდა და ომიანობის ყოველგვარ საბაზსა თუ მიზეზზე ხელს ააღებინებდა. მაგრამ, როგორც სჩანს, ჯიუტმა იმპერიალიზმისთვის ჭკუის სწავლება არაფერს არ შეძლებია. ის ისეთ კუზიანს შავს, რომელსაც, როგორც ანდაზაშია ნათქვამი, მხოლოდ სამარე გაასწორებს. რაკი საქმე მარტო სამარეზეა დამდგარი, იმედოუნდა ვიქონიოთ, რომ ამ სამარის გაქრაც დიდათ არ დაივინებს.

ივლისი  
25  
ხუთშაბათი

1917 წ. დროებითი მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯის აღდგენა.  
ბოდის ვინდით სკითხველის წინაშე, რომ ისევ დროებითი მთავრობის შესახებ გეოწვეს წერა. მაგრამ ეს კალენდარის ბრალია და არა ჩვენი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ დროებითი მთავრობის ყოოოა მოქმედება მართლაც რომ დროებითი და მალე წარმავალი იყო. ასეთი ბედი ეწია სიკვდილით დასჯის გაუქმებასაც, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, და, როგორც აქვე ვაქვს აღნიშნული, იგი ისევ აღდგენილ იქნა დროებითი მთავრობის მიერ. რა თქმა უნდა, როცა აუქმებდნენ სიკვდილით დასჯას, ხელმძღვანელოიდენ ქრისტეს მცნებით და საერთოდ საღვთო წერილის მორალით: „არა კაც ჰკლა“. ა. ვინ იცის, რითი ხელ-

ივლისი  
28  
კვირა



ალაჰშმა უწყის რ დის მოვა ბახმაროს ფოსტა,  
(თუ ავღარია, სომლიაზე იგი ისვენებს.  
ნაღორჯუმალ, ნიადვარი დაახრობს ცხენებს)  
და გამოსულ ა მოედანზე გვიხდება მოცდა.

ყოველ საღ შოს იმართება დიდი მიტინგი.  
ხალხი თავს იყრის ფოსტის ახლოს შავზღვას ოდენა  
მალლობზე ცხენი ჩავლადარმა, შა, ამოდენა.  
შეიძრა ხალხი... ყველას მიაქვს ფოსტისკენ დინგი.

მისჩერებიან. შა, გამოდის ფოსტალიონი.  
მიწვე. 'ოწვევა. კვლავ ჩოჩქოლი და ჟურა, გდება.  
აცხა, ეებს გამგე: „მოქალაქენო, შა, დარაგდება“...  
და ოველ გულში სიხარულის ფეთქს აღიონი.

აშ: წამოდვა „ტრიბუნაზე“ ვით ორაროზი.  
იძახის გვარებს, „აქ ვარ“! ისმის სხვა და სხვა ხმაშ.  
და წერილები ვით მტრედები ფრაკვეა ცაში.  
მისდევს პატრონი... და დაიჭერს ვით წიწილს ქორ

არის სიცილი და ხარხარი „საკილო“ გვარზე  
ეს ფოსტა არის მთელ ბახმარო თეატრი, კინო  
(სხვა გართობა კი—რესტორანი, ადესის ღვინო,  
და ტყეში წახვლა ძმა-ბიჭებით ლამპრისთვის კვარზე  
მოწიფული.



ტრესტის მოლოჩე ქალი—„ორმო-  
ცი წლის ქალწული“ თინა დღეობას  
იხდიდა. მისი მორჩილი ოთახი სტუ-  
მრებთ იყო გაქედლილი.

ოთახში ერთი შუა ხნის, ახმახი, ღიბ  
მოშვებული და სახეზე ჭორფლგადა-  
კრული კაცი შემოვიდა:

- საბინაო სექციის გამგე ჩიყვადე!
- საბინაო სექციის გამგე ჩიყვადე!
- საბინაო სექციის გამგე ჩიყვადე!

მკაფიო და სერიოზულ კილოთი  
გააცნო ცალკ-ცალკე თავი ყველა  
დამსწრეებს და სათითაოდ ხელი ჩა-  
მოართვა.

- საბინაო სექციის გამგე!..
- მის ხელშია სასახლეები!..
- სახლები!..
- ბინები!..
- ყველა ოთახები.
- ბრძანებს და..
- შეუძლია ჩასახლოს..
- გამოასახლოს..
- წაგართვას..
- დაგიბრუნოს..
- დაგაქციოს..
- აგაშენოს..

— ეგ არის ბატონ-პატრონი, მაგი-  
სია მთელი ქალაქი.

ამ ფიქრების შემდეგ სამი ქალიშ-  
ვილი: პელო, ნუნუ და მერი დიასახ-  
ლისისაკენ გაემართენ და თითქმის  
ერთ და იმავე დროს შეეკითხნენ:

- ცოლიანია?
- ქვრივი ხომ არ არის?
- ცოლი სადა ყავს?

კეთილმა დიასახლისმა ღიმილით  
უპასუხა.

— რა ქვრივი, რის ცოლი, გენაც-  
ვალეთ, აქვეა. პირდაპირ სასიძოთ  
არის გამზადებული. აბა თქვენ იცით!  
გადადით იერიშზე თუ შეგიძლიათ.

პელოს და ნუნუს მოწყენილობა  
დაეტყოთ: პირველს ნაყვავილარი სა-  
ხე და ელამი თვალები ჰქონდა, რომ  
მელთაგან ერთი დილომისაკენ იყო  
მიშვერილი და მეორე ავლაბრისაკენ  
იყურებოდა. ნუნუს სახეს არა უშავ-  
და, მაგრამ იმ სისხო „სახამე“ ფეხები  
ჰქონდა, რომ მისი „ესთეტიური კახ-  
ქები“ ლევაჩისი როზნოხაძესაც კი  
დააფრთხობდა. მხოლოდ ლამაზმა  
მერიმ იგრძნო რომ მას მიტოქე არა-  
ვინ ჰყავდა, ბუროთი და მოედანი მას  
ქონდა დარჩენილი, გადაწყვიტა „დი-  
დი კაცის მართლაც იერიშით ალებს.

— რათ გაუბრბით საზოგადოებას?  
მართალია დიდი კაცი ბრძანდებით,  
მაგრამ,—თამამად ჩაულაპარაკა მე-  
რიმ.

— რა დიდი კაცი, ქალბატონო...  
დიდი კაცი მხოლოდ ჩემს კაბინეტში  
ვარ!—უპასუხა ჩიყვადემ და თან  
წორცხვად დაუმატა:

— ქალებთან კი განსაკუთრებულ  
წორცხვობას და თავდაბლობას ვარ  
ნაჩვევი.



— გვირგვინ იკურთხების მონა ღვთისა მარჩი მხევალსა ზედა ღვთისა  
მშვიდობიანობის ანგელოზსა ზედა.

— ხა-ხა-ხა-ხა!—ეშმაკურად ჩაი-  
ცინა მერიმ:—თქვენისთანა ყოვლის  
შემძლე მოქალაქე, რომელსაც შეუ-  
ძლია ხუთოთახიანი ბინა დაიჭიროს,  
სრულებითაც არ საჭიროებს ქალებ-  
თან მორცხვობას.

— სამწუხაროთ, ქალის გული ბი-  
ნა არ არის. არ შეიძლება მათზე ორ-  
დერის გაცემა, ჩამორთმევა, ან მასში  
ძალით ჩასახლება.. გულცივები  
ხართ ქალები...

— გულცივები შავთმიანი ქალები  
არიან....

— თქვენ კი? თქვენ ქერა ბრძან-  
დებით, არა?

— როგორც ხედავთ!..

— მაშ თქვენი გული თფილია?—  
წარმოსთქვა ჩიყვადემ და ხარისებურ  
თვალზე ღიმილმა გაუბრბინა.

მერი გაწითლდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მერი მიხვდა რომ ჩიყვადის გული  
„ერთი დაკვრით“ აიღო და მის თავში  
ოცნების მთელი ოკეანე გაიშალა:  
ხუთ ოთახიანი ბინა... ქალაქის ცენ-

ტრში... სასტუმრო დარბაზში მერის  
როიალი. ფართე აივანი.. აბაზანა...  
სამზარეულო. სტუმრად მოსულ მე-  
გობრების ხარბი თვალები...

ჩიყვადე არც ისე მოზნცვი აღმო-  
ჩნდა და მერის „საქმე“ იმ ლამესვე  
გაიჩარხა.

— ხვალვე მოვიყვან მუშებს შენი  
პიანინოს სადგურზე წასაღებათ.—  
უთხრა ჩიყვადემ მერის გამოთხოვები-  
სას ნაქეფარმა „საქმრომ“ ღილგადა-  
ხსნილი მეორმოცეთ ჩაკოცნა მერი.

— როგორ, სადგურზე—ხმის კან-  
კალით შეეკითხა გაფითრებული მე-  
რი.

— მე სამაზრო ქალაქის საბინაო სე-  
ქციის გამგეთ ვითვლებოდი, მაგრამ  
პარტიიდან „გამისტეს“. სანამ სა-  
ქმეებს ახალ გამგეს გადაგაბარებდე,  
სოფელში უნდა გავიარო... ოკრიბის  
მხარეში.. ყანებს მივხედავ..

— არამზადა! ხულიგანი!—ისტე-  
რიულად დაიყვირა ელდაშემოყრილ-  
მა მერიმ და ღვთის სივრცეში მიიმა-

ლა. მედღეა.



ნ. ნო.ზაიდი (ლიბანის სანაქტორიუმის მწე): — ლიბანი, — ეს მე ვარ!

მიზაძვა კრილოვი

დილიდან საღამომდე  
ბევრი აქვს საქმე საქმწარმს.  
ერთგული მუშაია,  
მას თაღლითობა არ სწამს.  
საქმეში თავჩაფლული,  
თავს იგი არ სწევს მაღლა  
ჩამოდის ოფლი ღვარად,  
მაგრამ არ იცის დაღლა.

—:—

საქმეთ-მმართველი მოდის  
და საქმწარმს ეუბნება:  
„ო, მებრალბები, ძმაო,  
რომ არ გაქვს მეტი ნება.  
მთელი დღე საქმეებში  
ჩაგირგავს შენ მაგ თავი.  
ენის თქმას ვერა ბედავ,  
და ხარ ყველასთან კრავი.  
მე მაინც შემომხედე,  
თუ როგორ ვხარჯავ დროსა  
გავსუქდი... დავემგზავნე  
მწიფე დიდ საზამთროსა.  
გავივლი, გამოვივლი,  
გადავხედ-გადმოვხედავ.  
(ორმოც თუმნამდე თვეში  
აი, ამაში ვხვეტავ!).  
იქ მკმანქანეს ვუჩქმებ,  
აქ თვალს ჩავუქნევ სონას,  
და დერეფანში დარაჯს  
ვუყვირებ როგორც მონას  
დავდივარ სადაც მინდა,  
ლხინში ვარ დღე და ღამე  
საღამოს დავსეირნობთ  
ავტოთი გამგე და მე.  
თუ კი გამართეს სადმე  
ლხინი და წვეულება,  
ჩვენ ვჯდებით სუფრის თავს  
ასე გვაქვს ჩვეულება“.

—:—

საქმწარმა უთხრა: „მიკვირდა  
რად ამბობ შენს ამბავსა?!  
არაფერს არ აკეთებ  
და კიდევ იქებ თავსა?!  
ამიტომც იყო, რომ შენ  
ყველგან მოგაბეს შესტი.  
შემოვივლია: ბანკი,  
სინდიკატი და ტრესტი.  
შენ ყველას ეჯავრები,  
გერეკებიან კარში.  
აქაც პანდურსა გკრავდენ  
გამგე არ გედგეს მხარში“.

—:—

მიუგო საქმმართველმა:  
„თუმცა მაგდებენ სზირად  
მაგრამ შემოსვლა ისევ  
მე არ მიჯდება ძვირად.  
კარიდან გამაგდებენ,  
ფანჯრიდან შევცოცდები.  
შენ არხეინად იყავ,  
არადროს არ მოვცდები“.

იაკინთე ჭლაკვაძე

— იაკინთე ჭლაკვაძე! — დანიახა  
გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ.  
— აქა ვახლავარ, ტავარიში კამი-  
სია! — წამოიძახა ხმამაღლა იაკინთემ  
და ბარბაცით წარუდგა კომისიას.  
— რა გვარი ხართ? — შეეკითხა  
თავმჯდომარე.  
— ჭლაკვაძე! უბასუხა თავშე-  
კავებით იაკინთემ და უღვაშებზე გა-  
ღისვა ხელი.  
— ცოლი გყავთ, თუ არა?  
— იმე! მყავს, აბა, ბერი კი არა  
ვარ!  
— სამოქალაქო წესით შეირთე,  
თუ საეკლესიოთი.  
— ასტეც და ისტეც?  
— როგორ თუ ასტეც და ისტეც?!  
— „მმარშიაც“ მოვაწერე ხელი და  
გვირგვინიც ვიფსკვენი. ქალი არ და-  
მთანხმდა უეკლესიოთ და იმითომ! —  
წაილულლულა იაკინთემ, ღვინომ  
სძლია და წატორტმანდა.  
— ღვინოს სვამთ, თუ არა?  
— იმე! ვსვამ აბა, საღ გავონილა,  
რომ ქართველმა კაცმა ღვინო არ და-  
ლიოს.  
— ქელეხში თუ ყოფილხართ?

— იმე, ცოცხალი კაცი ქელეხშიაც  
წავა, ქორწილშიაც და ნათელაშიაც!  
— ვისთან ქეიფობთ სზირად?  
— ყველასთან. მე, როგორც კომუ-  
ნისტი, ყველა მიყვარს და არ ვარჩევ  
არავის.  
— ფოდრაჩიკებში თუ ქეიფობთ?  
— იმე! ფოდრაჩიკი რაია, ვითაჰ!  
კაცი არაა თუ! მე ყველასთან თავდა-  
ბალი ვარ, როგორც ამას მოითხოვს  
ჩვენი პარტია.  
— კმარა, თავისუფალი ხართ, მი-  
ბრძანდით.  
— იაკინთემ გამომწვილობების ნიშ-  
ნად თავი დაუკრა კომისიას.  
სახლში იაკინთე ტრაბახით იკლებ-  
და იქაურობას, თუ როგორ გაიპარჯ-  
ვა წმენდაში.  
— ორი კვირის შემდეგ გამოიციხეს  
პარტიიდან ჩვენი იაკინთე, ჩამოხადეს  
მოოჭრული რევოლვერი და გადააყე-  
ნეს სამსახურიდან.  
— ცოლმა თავი მიანება უბედურ ია-  
კინთეს: „მე გაჩისტული ქმარი არ მი-  
ნდაო“ და წავიდა.  
— ასე დარჩა გაბრილადებული ჩვენი  
იაკინთე ჭლაკვაძე.



# ანტიმოზის აზრი

— რავა გეკადრება, ანტიმოზ, ასეთი დაჩეხება. განა, მე კი ვარ მაგინის მტერი? მაგრამ მტრობა ერთია და სინამდვილის შეფასება მეორე...

— მაშ, როგორ გგონია შენ, დეიწყება, თუ იცი?!

— შექველად! შენც კარგათ იყავი და მეც, სხვა დარლი არაფერი მოგვცემოდეს, მხოლოდ ამ თუთხმეტ დღეში კი შექველად გავარდებამ!

— რა გავარდება, ყარსუმ, რას ამბობ?

— რავა ბავშივით მიკითხები, რა უნდა გავარდეს, თუ იცი?—თოფი, ზარბაზანი, ბომბა, ზურნა და მისი ნაბადი.. არ იცი, რა უნდა გავარდეს ოშიში?!

— მაშ, შენის აზრით, ომი დეიწყება?!

— როგორც მე შენ გხედავ და შენ კიდე—მე!..

— კი, მაგრამ ასე დაბეჯითებით, რომ ამბობ, შექვეო საბუთიც ხომ უნდა გქონდეს ხელთ.

— საბუთი მქონდეს ხელთ რავა, ამ ნოტების რიხინ-რიხინმა შენამდის თუ ვერ მოაღწია ჯერ კიდევ, არ ვიცი, თორემ ქვეყანას შიშისა და ფიქრისაგან ლამის ჯაგარი აუყენოს ყალყზე...

— რას ამბობს, ყარსუმ ჩემო. ნოტებს რომ რამე შესძლებოდა, ჩვენი

გოსკონსერვატორია სულ ერთავიდ ბრძოლის ასპარეზი უნდა ყოფილიყო..

— ხუმრობა იქით იყვის და ერთ დროს მაგიც ქე იყო მასთე, ჩემო როსტომ, მაგრამ მე სამასხაროთ კი არ გეუბნები, მე ნამდვილ ნოტებზე მოგახსენებთ, აი, სახელმწიფოებ შორის რომ იციან იმათი გაცვლა-გამოცვლა ხოლმე.

— ეს არაფერი, ჩემო ყარსუმ, ნოტები კი არა, ზოგჯერ ოლტიმატუმებიც კი ბათილდება და ყალბდება ამ მიმართულებით... აღარ გახსოვს კერზონის ულტიმატუმში?!

— ეე, შენს პირს შაქარი, ჩემო ანტიმოზ, კერზონი კერზონია და საქმენი მისი არიან კერძონი, ხოლო ის კი ნუ დაგავიწყდება, თუ ახლა საქმე ვისთან გაქვს..

— ჰო, ვისთან?

— ვისთან და ჩინელ დუბანთან...

— მერე, რა? შენის აზრით, ჩინელი დუბანი კერზონზე უფრო დიდი კაცია თუ?!

— არა, შეიძლება უფრო დიდი კაცი არ იყვის, მაგრამ ხომ გავგონია: „სუსტი მტრის უფრო უნდა გეშინოდისო“?! მე ერთი ანეგდოტისეზურა ამბავი გამოგონია. არ ვიცი, მართალია თუ ტყუილა გინდენბურგს შეეკითხენ თურმე საერთაშორისო ომის დროს: ვისთან უფრო ხელსაყრელია ბრძოლა, საფრანგეთის ჯარების მთავარ სარდალთ ფოშთან თუ რუსეთის მეფის არმიის ერთ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ გენერალ სალტიკოვთან? ამაზე მან იცი, რა უბასუხა თურმე „თქვენი რა ვითხრა და მე კი მარშალ ფოშთან ბრძოლა მიჩრევიანია, იმიტომ, რომ როცა ფოშთან ვიბრძვი, ოპერაციებს ვაწყობ თანახმად სამხედ. ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა: ვინაიდან ღრმუშენებული ვარ, რომ ფოშიც ისევე აწყობს ჩემს წინააღმდეგ მოქმედების გეგმებს სალტიკოვისაგან კი ამის იმედი არ მაქვსო. აქმეც იძულებული ვარ ისევე ბრძალ ვიმოქმედო, როგორც ბრძიდ და ყოველგვარ ხელოკაქაია,

თუ მეცნიერების გარეშე მოქმედობს თვითონ სალტიკოვიო?!

ამ ანეგდოტის აზრი რომ გეგონია? ჰო და რაღად გიკვირს, თუ მე დუბანისა უფრო მეშინია, ვიდრე თავის დროზე კერზონის მეშინოდა.

— არხეინად იყავი, ჩემო ყარსუმ, დუბანი და მისი მსგავსნი თუ ქვემო ქვემო რაღაცაებს მიედ-მოედკიან, ჩვენი კარახანიც არ ახანებს, აუ გეშინია, ესეც ფიზილად აღეკებას თვალ-ყურს იმათ გაიდევრულ მთქმედებებს.

— რომდენ ერთს უნდა აღეკვაო თვალი, ჩემო ანტიმოზ, რაჯდეს?! იქით დუბანი და ჩან-კაიში, აქეთ—პილსუდსკი და პუნკარე, ეგეთ იქით კიდე—ბაჩეისაკაოა თუ რაღაც მხეცი, რომელსაც ვერაფერი აკავა ვერღარ აკავებს და კიდევ რაბდკა, მერა ვიცი!..

— მერე რა? დიდ წვიმებს ბევრი სოკო მოყვებაო, ხომ გავგონა?

— არ მესმის.

— რა დიდი გავება უნდა მაგას წარსულ იმპერიალისტურ თმძი იმდენი სისხლი აღინეს ქვეყნას ყაზალებმა, რომ რომელი დიდი წვიმა შევდრება ამას...

— მერე?

— მერე და ხომ იცი, როგორ დაიწყო ეს ომი?


— ჰო, როგორ?

— როგორ და, არაფინ რომ აქ ელოდა, ისე, უცბათ, მოულოდნელად გავარდა თოფი.

— ჰო და მაშინ თუ არაფინ არაფერს ელოდა და ისე უცბათ კი გამოშვავდა იმხელა ომი, ახლა, ამდენი ამბები რომაა ირგვლივ ატეხილი, ამას მთლად ქვეყნის დაქცევა არ უნდა მოყვეს ახლა?

— მაშ, შენის ფიქრით, საფრთხილო და საფიქრებელი აღარაფერია?!

— არა, მე იმას არ ვამბობ, რომ ყველაფერი თავის რიგზეა, რომ საფრთხილო და საზოუნავი აღარაფერა გვაქვს, რომ გულზე ხელები მშვიდათ უნდა დავიკრიფოთ და ასე ვუყუროთ მათ ხშიან პარტიოსნებას—მეთქი. მა-





ა.ბ. ლიტვინოვი

მეგობრული შარჟი რ.ბ.ტ.შ.ის

რთალია, ნათქვამია: „შემპარავი ძა-  
ლი უარესია მყეფარაზე“-ო, მაგ-  
რამ დღევანდელი დღის ამ მყეფარა  
ძაღლებსაც სათანადოთ ვუთვალთვა-  
ლებთ, ნუ გეშინია. ტყვილა კი არ  
გამოგვიწყია წითელი ფრონტის  
დღისათვის ეს გაუგონარი მზადება

ბთელ სოფლიოში. იმათ უნდათ შექ-  
მნან შავი ფრონტი, თავიანთი შავი  
ზრახვების გასანადღებლად; მაგრამ  
ჩვენ მათ ამ შავს ფრონტს ჩვენს წი-  
თელ ფრონტს ვუპირდაპირებთ, ომს  
ომით ვუპასუხებთ და ანახავთ უუ-  
ვისი გაიტანს.

კაი იმედი მოგცეს ღმერთმა, ჩემი  
ანთიმოზ, მაგრამ რა ვიცი... ისე ეს  
თუთხმეტ დღეში კი უნდა გამოირ-  
კვეს ყველაფერი, ჩემის ფიქრით...

— ერთი კი უღაოა: ეს 15 დღეც  
როგორც ყოველი დრო ამიერიდან,  
იმუშავეს იმათ საზიაროდ. ონისიმე.

# „უწინასწარმეტყველა“



მრ სწამს მუშის კილო,  
და არც ხსენებაცაი  
ე, ვინ მოარჯულებს,  
ამ უტიფარ კაცსა.  
პარტ-ბილეით დადის  
ვით ავი-ზნე, ზნედა  
ველოდებით, როდის  
მივა მასთან წმენდა—

დავლონდი და ბაზარ  
ხევდით ვაკვირდები  
ქუჩა ქუჩას არ შვავს —  
ძალზე შეწუხდები.  
სიბინძურე ირგვლივ  
ბაზრის წინ და უკან  
სიმშლითა ვკვდები.  
ველარ ვიღებ ლუკმას.  
რ. კსტორანებს შორით  
ჩაუარე როცა,  
სიმშვიდემ და ფიქრმა  
მე გზა დამილოცა.  
გინება და ღანძღვა,  
არღანი და დოლი.  
(შფოთვა მოდის ჩემ  
ვით წითელი ჯოლი)  
ალარა სრან არსად  
ხონის მილიცია! —  
(თვალწინ რაცა ხდებ  
ნუ თუ არ იციან?)  
მასზე მითხრეს ბევრი,  
არა სასურველი! —  
აღმასკომ. მრ — ლაღ  
შენგან შევლას ველით.

ამ რუსებში აბაპას  
უნდა ვუთხრა რამე  
რატომ უყვარს ნისლ  
და შავ-ბნელი ღამე,  
იგი ხადაც იყო  
ეს ჩვენ კარგად ვიცით  
(ალარა გვწამს მისი,  
რწმუნება, არც ფიც)  
ისიც ვიცით კარგად  
იყო კომკავშირში  
რომელმაც რომ ქალებს  
აუტეხა შიში.  
კავშირებში შპოვა  
რევ თბილი ბინა  
ძაპოს გამწმენდელი  
ვინ იქნება, ვინა?!

ქაღალდზე ბევრი  
ამბობს გულსწორმას  
აშუთიანში სწორად  
წამალს აღარ სწონავს.  
ამხადებენ რეცეპტს  
თურმე მუდამ გვიან —  
ავადმყოფნი სწუხს და  
ცხარე ცრემლებს ღვრიან

ვნახე უსაქმური  
ქალების გროვა —  
(სულმა იგრძნო ოხვრა  
გულმა დიდი გოლივა)  
მრლდ არის თურმე  
უველაფერი მათი  
ასეთები არის  
ათეული ათი,  
დილით — ხალამოდე,  
საზარშია ყველა —  
(ლაზღანდარა ქალებს.  
აუტეხთ ხვილა).

ხულცი რომ ამოძვრეს,  
ვერ დავტოვებ ღიით!  
საყვედური ხალხის ტენიკს —  
სიმონ შორშოლიანს.  
უყვარს მუშის ტუქვა,  
უყვარს მუშის ციმა!  
არ შეერგოს სიმონს,  
მუშის პატრიცია.  
კიდევ ბევრი რამე  
არ მსურს მოვიგონო!  
ჯერ-ჯერობით კმარა...  
აწ მშვიდობით, ხონ...  
შაბნელი გვიკი

— გაგინმეს მაგ ენა! ყოველ გაიოსკლისას ყვავივით ჩამძახოდი: „ჩი-  
სტი... ჩისტი“-ო, — და მართლაც „გამომჩისტეს“ პარტიიდან.

## სამტრედია-ხონი

მე წა - მოთქმამ ხონზე,  
შეიწუხა გული  
და ვიმგზავრე თანჯვით,  
წვით, წყევით და კრულვით  
სამტრედის სადგურს,  
რომ განვმორდი ცოტა,  
ოხვრ მგზავრებისა  
ისარივით მომხვდა.  
ეხვეწები: ეტლი  
რა ღირს ხონის გზაზე?! —  
პასუხის კი ისმის  
ხვდა კილოზე, ხმაზე.  
განზე გადახედვით  
ფიქრი სადღაც მიყავდ  
რომელიც არ ესმის  
ცასა, არცა მიწას.  
ლოდინისა შემდეგ  
გეტყვის ზღაწენით ფასებს,  
რომელიც რომ გულში  
ხედას დაგირბებს.  
თურმე არ არსებობს  
აღმასკომის ნიხრი!  
თუ სურთ ტყავს გაგაძრობს —  
მათ წინ თავს იხრით.  
განდა სულში შფოთვა,  
გაოცა — სიმწუხარე  
და დავტოვე უცებ  
სამტრედის მხარე.  
თითქოს მიჰქირის ეტლი  
(უფრო მიბოგინობს),  
ამხსვრებს გზაზე ლოდებს —  
ხრამებს აღარ ინდობს.  
გზა ასეთი ფერის  
არ უნახავს თვალმებს!  
დღით აშინებს მზესა,  
და ღამით კი მოვარებს.  
ათჯერ შეხდვა გემა.  
დაიდალა ძაღა!

ხარჯი ხარჯებს მიხედვს —  
(გული გაიბზარა)  
და მაინც გზას გზათა  
ჯერაც ველარ ვხედავთ!  
(ზოგი უხმობს მამას  
და ზოგი კი დედას).


მივალწიე ღანძრის  
და ქუბირის სახლგარსი  
თურმე ეტლი დიდხანს,  
აქედან ვერ დაგძრავს.  
ჩვეულება — ადათს  
აქ გაუღვამს ფიქვი!  
თუ არ დამაბათიე,  
ქვასა თავში გესვრის.  
ოდეს გამოძლება  
და გაგვება მუქთაღ!  
საცოდავი ცხენებს,  
საცოდავად ურტყამს.  
მიყვარს შრომის კერა,  
მიყვარს შრომის ბუდე!  
ოდეს ვუმწერა მშრომელს  
და მშრომელთა გულდებს.  
მითომც შევიჭერი,  
ხონის ძარბანაში —  
რომ გემეგო მისი  
საქმეა თუ რაში.  
შეითხვავე მუშამ  
მიპასუხა ასე:  
ძმაო, ჩვენ თვალები  
ცრემლებით გვაქვს საცე.  
გვინდა წარმოებას ვემსახუროთ გულით!  
მიმოვფინოთ ირგვლივ,  
ძმაო — სიყვარული.  
მაგრამ ამ პირიღმ  
(მმლბამა გვარად)  
მოგვისია ფიქრი  
მწკრივით, გუნდათ, ჯარათ.



# საზღაპრდა შესტვართა გვერდი

ნახ. ალ. ზანთაძის

ნახ. ლაზნიანი



— მამაჩემო, იმ ჰოლდინგის როლს შენ უკეთესად შეასრულებ, როგ ურც ძველი პრისტავი.  
— სხსს! შე სულელლო ვინმე გაიგებს და... აპარატის წმენდაში მოვხვდები.



— ქალო, ხედავ: გრიგოლს რამოდენა პორტფელი უჭირავს! უთუოდ დიდი თანამდებობა მიუღია და სამსახურში მიდის.  
— სამსახურში კი არა, ბაზარში მიდის.

ნახ. დ. ბახტაძის

ნახ. გრ. მარჩავასი

ნახ. დევილინი

გუჯათ  
კრები



— თქვენ სიღარიბის მოწმობას ვერ მოგცემთ!  
ნათავადარი: — რავა? სიღარიბის და სიგლახის მოწმობას ვთხოვლობ და იმასაც არ მიძლევთ!



ნახ. დ. ბახტაძის



— რესტორანიდან რომ გამოდით, ქუჩის რომელს მხარეზე მიდიხართ?  
— ორივე მხარეზე!

— ბილეთი ძვირია. აქებენ სასაცილოა, მარა ისეთი რა უნდა იყოს, რომ თოთხმეტ შაური ღირდეს? თოთხმეტ შაურად „მუშა“-ს და „ტარტაროზს“ გამოვიწერ და მთელ თვეს ვიცილებ.

— მე ამითი ვერაფერი გამოვიღია! შეუბნე ბიან: „ნაცვლად იმისა, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა გეწარმოებინა, შენ თვითონ დამთვრალხარ საადგილოდ და უწყესობა ჩავიდენია“-ო... ჩხუბის დროს მ კაცს კი გაუტეხე თავი, და მეტს ვერც სიოხნულში შევსძლებდი!



# ჯოჯოხეთის კუთხე

ქართული  
ბიბლიოთეკა

„აქტივისტებს“: სანდროს, სერგის  
დიდი ლუკმა უნდა ებრძოს.  
დათიკო, რომ გლეხის „ნანას“, —  
ვლადიმერი იძრობს დანას.

და შტოგებს მიწას.  
თავისიანს იცავს—

სამაგალითო „აქტივი“ ჰყოლია სოფელ ვანს, (გუ-  
რია).

კლუბის კეთილმოწყობის მიზნით გაიმართა ხალ-  
ხო ბუფეტით. (კლუბი რომ კულტურული დაწესებულე-  
ბაა, ეს ვანის „აქტივმა“ იცის), მას დიდი შემოსავალი  
ჰქონია:

თუმცა ღვინო იყო ძვირი,  
მათ გაიღეს დიდი წვლილი.  
„შევეწიოთ ჩვენს კლუბსაო,  
ყველა გავხედოთ ვალეშოლი“.

—(ყლუხწი).

სალამოს გამოცოცხლების მიზნით „აქტივმა“ მო-  
აწყო წარმოდგენა. ვლადიმერის ხელმძღვანელობით წა-  
რმოდგენილი იქნა „დაკა-დაკა“, თავტეხობია რამოდე-  
ნიმე სხვირათ.

ბოლოს, როცა შემოსული ფული მოიკითხეს, აღ-  
მოჩნდა რომ

ბუფეტში ანგარიშის დროს  
აღარ აღმოჩნდა ფულია.  
სანდროს და სერგოს მიერ-ო  
ეს ფული გაქაფულაო.

ალა. ხოლო კარგ ხასიათზე ვერ იყვენ ზოგი თავ-  
გატეხილებზე; მიუხედავად ამისა უკმაყოფილება არც  
იმათ გამოუთქვამთ.

ცა—კაპახანად, მიწა—წალად...  
თამს ბრძნობს შაჰხათი, ბატონ-ალად.

აი, ასე აღრმავებს ვანის „აქტივი“ კულტურულ რე-  
ალიტიკას. დამსწრე საზოგადოება „ნასიამოვნები“  
მართლაც ბაღდადი გიორგი ქციტიშვილისათვის  
ბაღდადი.

მართალია, ბაღდადში არის ხელისუფლების სხვა  
ორგანოებიც, მაგრამ შეიარაღებული ძალა (მილიცია)  
გიორგის ხელშია. ამიტომაც გიორგი თავს ისე გრძნობს,  
როგორც ჩინელი გენერალი თავის სამფლობელოში.

არც ისე დიდი პრეტენზიების კაცია გიორგი, რო-  
გორც მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკი იყო,  
როცა ამბობდა: „საფრანგეთი—ეს მე ვარ“. გიორგი მცი-  
რედითაც კმაყოფილედება და ამბობს: „ბაღდადი—ეს მე  
ვარ“. ამბობს და კიდევ ატარებს ცხოვრებაში ამ დევიზს.

— ნუ გეშინია, შვილო, ღმერთის წინაშე იმდენი  
სამსახური კი მიგიძღვის, რომ შენს თავს დაიფარავს  
ყოველგვარ განწმენდისაგან!—აიმედებს დიაკვანი მამა  
შვილს.

მაგრამ გიორგი „ახალი დროის“ კაცია და ღმერთი  
არა სწამს:

— შენი ღმერთი კია, პროტექტორია ჩემი მფარ-  
ველი!

— იგიც იყოს და ღმერთიც, შვილო, თორემ ამდენ  
კოდებისაგან დაცვას ერთი კაცი ღმერთი იქნება ის  
თუ პროტექტორი, ვერ შესძლებს.

— არა! მე რა უნდა მქონდეს არსებული ხელისუ-  
ფლების საწინააღმდეგო? არაფერი. ნამდვილი აზნაუ-  
რი ესლა ვარ—სახაზინო ცხენი... ქიფი... ჭამა... სმა::  
ტანზე კორაბანდა... კავშირი საექვო პირებთან... ჩქა-  
რა, ბიჭო, ცხენი!—და

შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჰენ-გამოაჰენა.

ამ ბოლო ხანებში უფრო და უფრო აშკარავდება,  
რომ ყოფ. თავად-აზნაურობა ყველაზე უფრო ეტანება  
ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც თავისი დანიშნუ-  
ლებით გლენობასთან არიან დაკავშირებული.

საკითხი იბადება: რატომ ხდება ასე?

— იმიტომ, რომ—ჩვენ უწინაც გლენები გვარჩენ-  
დნენ... ჩვენ გვიყვარს ისინი... უმათოთ ჩვენ ცხოვრება  
ძალზე გავვიჭირდება... რაკი ამდენხანს ისინი გვემსახუ-  
რებოდნენ, ესლა ჩვენი რიგია, ჩვენ ვემსახურებით მათ!—  
ასე მსჯელობენ, ასე ამბობენ თავადები, აზნაურები,  
რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიათ ჩვენ დაწე-  
სებულებებში.

ერთი პაწია მაგალითი:

მიწასხკომში (რატომაც ამ დაწესებულებაში  
ბლომად არიან ასეთები!). მსახურობს ბარბაქაძე. (ეს  
გახლავთ ყოფილი ოფიცერი).

აი ეს პიროვნება ერთ მშვენიერ დღეს როგორც  
ცენტრის რწმუნებული თავად-აზნაურთა და გლენობას  
შორის მიწის შესახებ ატეხილ დავის მოსაგვარებლად.

— თოო, შენა ხარ კაცო! ქე არ გავკეთით კა-  
ცი!—გაუხარდათ მიჭავარიანებს, ჭელიძეებს და მათ ამ-  
ქრებს, რომლებსაც გასაჩივრებული ჰქონდათ ცენტრში  
ადგილობრივ ხელისუფლების „უკანონობა“—მათთვის  
მიწის ჩამორთმევა.

ჩუმად, შინაურულად, ადგილობრივ ხელისუფლე-  
ბის დაუკითხავად ბარბაქაძემ საქმი გამოიკვლია და  
„უკანონოდ“ ჩამორთმეული მიწა ისევ ძველ პატრონებს  
დაუბრუნა.

— ასე სჯობია, შე ნუ მომიკვდე! რა უნდა ამ გლე-  
ხებს? მიწა სულერთია ვისიც იქნება... მუშაობით მაინც  
ისინი იმუშავენ. აჰა, ჩვენ ხომ თოხს არ დავიკავებთ  
ხელში! ძალი რომ კუდით მიგვათრევედეს, მაინც თა-  
ვად-აზნაურები ვართ.

— ჰაააა!—გაუკვირდათ გლენებს, როცა ბარბაქაძე  
დაინახეს.—ეს ის ვაჟბატონი ბრძანდება, რომელმაც შუ-  
რისძიების ნიადაგზე ყაჩაღობის დროს ტყისმცველ გო-  
გიბერაშვილს ნახევარი წვერ-ულვაში მოპარსა და მავ-  
თულით ხეზე მიაბა?.. დიახ, ის ბრძანდება... არ გავი-  
ვათ, თქვენო კეთილშობილევ, თქვენი ოინი!

და, მართლაც, შემდეგმა კომისიამ გამოააშკარავა  
ბარბაქაძის „საქმენი საგმირონი“.

საკვირცლია, რომ ოქტომბრის მეთორმეტე წელზე  
ასეთი „გმირები“ კიდევ არიან ჩვენს დაწესებულებებში.

ოქტომბრის მეცამეტე წლის თავს ჩვენი დაწესებუ-  
ლებები გაწმენდილი უნდა ჩავებართო ყოველგვარ ჯუ-  
რის ბარბაქაძეებისაგან.

ბრავოზს ძალი კატუშა,  
არა მოსწონს მას მუშა.


ჭიათურის ფოსტის თანამშრომელი კატუშა გაჩეჩი-  
ლაძეს ნერვები არ აეშლებოდა, რომ გამეგ არ მოეხსნათ  
და მოხსნილ გამგის ადგილზე არ დაენიშნათ დაწინაურე-  
ბული მუშა.

აი, ამ ამბავმა ისე იმოქმედა კატუშაზე, რომ ქალს აე-  
შალა ნერვები, დაეკარგა მუშაობის ხალისი... და დღე არ  
არის—სკანდალი არ აუტეხოს ახალ გამგეს, რომელსაც  
„ნე პერევაიჩივავტ“, (მისი სიტყვებია).

გვ, ვინ იცის ადამიანს რა და რამდენი დარდი აქვს. მა-  
გრამ ერთი რამ აუცილებლად საჭიროა ამ შემთხვევაში:  
კატუშას ნერვებს მკურნალობა ესაჭიროება. მან უნდა და-  
ისვენოს... ამას ყურადღება უნდა მიაქციოს კომისიამ (თუ  
გინდ უტატის გამწმენდავ კომისიამ) და „ანტიპატიურ“  
გამგეს“ მოაშოროს ის.

სარეწკორობაკეშირის („გელხის კავში“) გამგეობის  
თავმჯდომარე შ. გეგეჭკორმა გარშემო შემოიკრიბა  
თავისი ძმა-ბიჭები. ნაღს დიდძალი ზარალი მიაყენა.  
„გაჰაფეს“ 466 ფუთი თეთრი ფქვილი...

კრაზანა.



მტერი ვერ უზამს თავის მტერს,  
რაცა ნაღს გამგემ უქნაო.  
ძმა-ბიჭებს შეფიცულბებსა  
გაჰქონდათ ღღე-ღამ ბუქნაო.

# წერილი ტარტაროზს

გათომი

ამბავი ვითხრა, ტარტაროზს,  
იცილდე ერთობ მწყურია,  
ამიტომ გულმოდგინებით  
ვთხოვე, რომ დამიგდო ყურია.  
გამსახლი როცა განტვირთეს, —  
ამბავს იქედან ვუღლები.  
გარედ გაუშვეს სულყველა  
„პაცანები“ და ქურდები.  
მოხდა ბნების განტვირთვაც,  
წაიღეს ბევრი ნივთები,  
თუ ვინ წაიღო და როგორ,  
ამას უთქმელად მიხვდები.  
სისხსამართლის მილიციას  
თავს დაესხა ქურდთა რაზმი;  
შუა ქალაქში გამაგრდნენ  
მილიცია „მოჰკლეს“ ბრაზით.  
მილიციამ იბრძოლა და  
კახაბრისკენ დაიხია,  
ქურდები კი კვლავ მისდევნენ  
(აი „ომიც“ ამას ქვია)  
და ამიტომ ჩამოდი და  
წამოიღე თან ჩანგალი,  
მიეხმარე მილიციას  
დაუყენე ქურდებს თვალი,  
თორემ ყველა მცხოვრებლები  
ვიმყოფებით განსაცდელში,  
ყოველ ღღე „გაწმენდს“ ეს ქურდებო  
ამოგვწვადეს სული ყელში.  
სამსახურში რომ წავიდი  
სახლს დავადე თუმი ურდული,  
მაგრამ შინაც მემშინია...  
გწერავ

გრაზა გაქურდოლი.

## გოჭოურის „გმირი“

წინეთ იყო ჩარჩი:  
ვლენებს აძრო ტყავი.  
ბევრი ჩაიღინა  
საქმე ცუდი, ავი.  
ჰან ჩაიგდო ხელში  
ამი აგურხანა,  
ვაუდიდა მალა...  
მუცელს უწყო ფხანა.  
ემც სახელად (ვანგებ)  
ქარხანაა სხვისი,  
მაგრამ რაც შემოდის  
სახრავია მისი.  
ეხლაც ვერ გადურჩა  
ანოს ოინს ვლენი.  
ამუშავებს მუქთად  
შედგმული აქვს კენი.  
ელიბერიძეები  
ხელს უწყობენ ვანოს,  
რომ კულაკმა საქმე  
„კარგად“ წაიყვანოს.  
და მდიდრდება ვანო  
(კულაკზე მეტი).  
გადასახადს ხვდება  
სართითა და კეტით.  
შავ სიაში იყო,  
და იქნება მუღამ...  
სახლშიაც ეძახიან  
ვანოს სულთამხუთავს.  
ტარტაროზო ძმაო,  
ბობობიძე ვანო  
ჯოჯობხეთში შენთან  
გთხოვეთ, რომ წაიყვანო.

გორელი.

## აკროსტიხი (ლევან - მარალინი)

მინდა ამბავი გაცნობოთ სოფელსა შინა თქმულია,  
ამიტომ ვთხოვე, ტარტაროზს, კარგა მომამყრა ყურია,  
რადგან ბევრი არს ჯერ კიდევ ბოროტი გულით-სულითა,  
ბამოუტენობი მოსაქმე თვის აწყო და წარსულითა.  
ახე იწყება „ზღაპარი“ — თქმული ესე „ქებული“:  
ლამის დაინგრეს შვიდწლელი ვახანისად წოდებული.  
იმა ნანგრევსა ვნახვდეთ ასეთსა ჩვენ წარწერასა:  
„ტრფობის ალითა დაგულსა, ვა, ჩემსა ბედის წერასა“,  
ახე „ამხედრდა“ ის ერთხელ (ძალღს ჰგავდა გაცოფებულსა)  
მოწაფეს ეომებოდა, ვლენის შვილს დაჯაბნებულსა:  
„ამოგიღეწავ მაგ ცხვირ-პირს, ავაფცქენი ორთავ ყურსაო,  
ჭკუას მოგიყვან, მუტრუკო, თუ არ მახესხებ ფულსაო.  
ამაღამ ქეიფს ვაპირებ, ვპატიყოზ ჩემს მიჯნურსაო.  
მასშმად მოვიწვევ მე მხოლოდ თავადს და აზნაურსაო“,  
აკე კი ჩურჩულით მოუხმობს ის თავის საყვარელსაო:  
„როცა ვაკვეთილს მორჩები, ჩამეირბინე ჩემსაო“,  
იკრასკება და „ბარიშნობს“ თან ტოლუმბაშობს ისაო,  
პრშიყი არის „რეკორდნი“, შვილია ღალაქისაო.  
ნამდვილი ენა-ტარტალა... მთავრობის „ქებით“ აგვაფსო.  
იმედი არის, ტარტაროზს, შენ მას ამოსდებ ლავამსო. მწნა.

## „კოოპერაციის“ ღღე (ჭიათურა)

კოოპერაციის ღღის აღსანიშნავათ  
ადგილობრივ მუშკოობის მთავარი სა  
წყობი, რომლის ცალი გვერდი თხე-  
ლი ყავრის ფიცრებით ყოფილა აქე-  
დილი, საერთაშორისო კოოპერაციის  
ღღის პირველ ღამეს გარდევულ იქმ-  
ნა ქურდების მიერ.  
როგორც დილით გამოირკვა, ქურ-  
დები პატიოსანი ყოფილან: მათ ხე-

ლიც კი არ უხლიათ ისეთ პირველ  
მოთხოვნებებს საგნებზე, როგორი-  
ცაა: ნავთი, მარილი, ტარანი და სხ.  
წაუღლიათ მსუბუქი და ძვირფასი სა-  
ქონელი. იატაკზე იპოვეს შამპანიურის  
ცარიელი ბოთლები, როგორც თვით  
მუშკოობის გამგემ სთქვა, ქურდებს  
შამპანიურით უდღეგრძელებიათ კო-  
ოპერაციის საერთაშორისო ღღე.

შაკო.

# ლორი წავა და თხა მოვა აბაშის საბადნ. რთხა



— რისთვის განიდევნა, თუ იცი, ღორები?  
— ესლა ძროხებისა და თხების მიერ ბაზრის დაპყრობის პერიოდი დაიწყო.

## ახალ კომბინაცია

დისპანსერო; სიცხე, დაღლია და გამზადე ბენდიერი. წერილს ვატან. შენთან მოვა ქალი ტურფა, მშენიერი. მე ვავსინჯე და დავრწმუნდი, რომ სალი აქვს: ხორცი, ფერი, მარცხნით გული, მხოლოდ შეგნით უნდა ჰქონდეს განიერი. აბასთუმანს წასვლა უნდა, შენ დაუსვი გულის ძგერა. დიაგნოზი შენს ხელთ არის: მეც, იქ მინდა მავის მზერა. დიდი ხანი როდი არის. რაც კავშირში ჩაეწერა? მიკროსკოპით კარგათ ნახე, არ ავიტყდეს გულის ძგერა. მავას უფრო მოუხდებოდა აბასთუმანის დიდი მთებში მუშას აქაც არა უშვავს, ესლა გრილა თუ არ ვცდები-შენც გაგაცნობ-იქ ვიქნებით, ჩვენ სამივე აბასთუმანს. ეს წერილი შენ იგულე, და გერჩიოს ათას-თუმანს.

ვასო რაინიშვილი.

## ჩვენი კვებები გორლის თემი (ქუთ. მაზრა)

ტარტაროზო, თუმცა გორღზე ბევრი რამე დაიწერა, მაგრამ ბევრმა ეს სიმართლე სრულებით არ დაიჯერა. გორლის თემში ძველ „მუშაკებს“ გაუცივდათ თბილი კერა, იღარ ისმის „უხუ“ „ლახუ“ ღვინის სმის დროს „რერო-რერა“. თავმჯდომარეთ ბრძანდებოდა მუხ გრიგოლი გმირთა გმირი, გათამამებული იყო, აწული ჰქონდა ცხვირი. ბარალში ისხდა დევი, კაცი მეტად ვასაკვირი, აღმასკომში ვაჭკიოდა, ვით ბუკი და ან საყვირი. ვინ ჩამოთვლის თუ რამდენჯერ გლეხებს სცემა მაუხერით; იმის რისხვას გორლის თემში ვერვინ ვერსად გაუძვერით. ხან ვაჩნაძე მიგვითელა, ჰარტიული გლეხი, წყნარი, ხან კართაძეს მაუხერით აუტეხა შიშის ქარი. ქანტურაიაც გვიცემა, ის წმინდა წყლის პროლეტარი; (არ მინახავს მხეცი დღემდე მე გრიგოლის შესადარი). გალემილი დღე და ღამე ის ტყვიანზე სწვავდა ტყვიას, აღმასკომში, აქაც-იქაც, იძახოდა „ტიავ-ტიას“. ხიდზე ერთხელ კეთილადეს დაახალა ერთი, ორი. გრიშა გაშრა შიშისაგან, სახტად დარჩა პროვიზორი. გეხუმრო, შემდეგ ღიბით „ბედნიერ-ჰყო“ კეთილადე.

ვერ გაბედა გრიშას ეთქვა: შეაშინა გმირმა რაზე? ი მარტს, როცა მოეწონა ქალთაგანი დელეგატი, ძალით ღვინო შეასვა და არ დაინდო დღე მ მარტი. ძალადობა დაუპირა, ხელებს მისცა თვითნებობა, „სიყვარულით“ დაითრო და მოესურვა ყმაწვილს ტრფობა. ქალმა თავი დაახწია გამოექცა მხეც უგლაეას, თავმჯდომარე გაღიროა, ამონახეთქს ჰგავდა ლავას. ხმაგავარდა თემში, რომ იქ, სადაც არის ქალთა კრება, — კოლს, შვილს აღარ ვაგულშვებთო, აღარ წავალთ არ იქნება. ვინ ჩამოსთვლის თუ სად რა ჰქნა ჩაიღინა ვაეკაცობა. (მუწუკია ის პარტიის, მას კაცური არ აქვს გრძნობა). და ბოლო დროს მან სხვაგვარი დაიჩემა დევ-გმირობა, თემში კედლის გაზეთსა და კორესპონდენტს უწყო გმობა. დაიბარა ერთ დუქანში, აუტეხა მთვრალმა სრულა; აბუთიძე ცახცახებდა, შიშით დადნა ჩვენი კოლა. ტარტაროზო! თავმჯდომარეს უმშვენიებდა გვერდს მდივანი, მათ მიზნები ერთი ჰქონდათ, ერთი ჰქონდათ გასაქანი. დათვრებოდა და რეგულვერს ხშირად სწვავდა ცეცხლის აღში. იმას სრულად არ ფიქრობდა რა ელლდა მომავალმა.

ათასობით მან ჩერკონცებს უსინდისოთ ყლაპი უქნა, ეხერხება სიმღერები, თამაშობა: ლეკურ-ბუქნა. ესლა ვნახოთ მათი ყარდაშ, ხე ტყის გაბეგ იუსტინე. (შენებურად დღეს გამსახლში იფარფაშე და უსტინე). მადა ჰქონდა ჭაბუქს ჭამის, ჭამის ჰქონდა კარგი მადა, მანაც ბლომად გადასანსლა ჩასუქებულ კურატს ჰგავდა. აღნიშნულმა სამმა გმირმა ფულის ფლანგვას მიჰყვეს ხელი; ერთმანეთის სიყვარულში გული ჰქონდათ მეტად ცხელი. სრა-სახლები წამოსჭიმეს, დაამშვენიეს გორლის მდელი და ეგონათ გაიტანეს მათ უმწიკვლოდ ეგრე ლელი. მაგრამ შეერჩათ დიდხანს ეგრე თემის ყველფა იმათ განა? (ჩალით არის წახურული არ გეგონოსთ ეს ქვეყანა). ეს ცოდვები ცენტრში ერთმა საიდუმლოდ განაცხადა, მყის გაიფეს ყოველივე, ჩამოეხა ბნელეთს ფარდა. ამას წინეთ გორლის თემში ჩამოვიდა პროკურორი და ცოდვების ასაწონად წამოიღო თან სასწორი. გორლის თემში ძველ „მუშაკებს“ გაუცივდათ თბილი კერა, დღეს გამსახლში ბრძანდებიან ვაშა ბიჭო!-რეროგ-რერა!

შიხლინსკი ბოშა.



# სოფლის მეურნეობა

ეროვნული  
გაზეთი

**ოცნება:** „დღეს სიმღერის ხოშხე ვარ“-ო, და ასე მღერით:

ვაი ტიკო ტიკო, ჯან ტიკო, ტიკო,  
ვაი, ჩემო კიქებო, სადა ხართ ეხლა?  
კიქები სად არიან, ეს არ ვიცი; ხოლო თქვენი წერილი რომ ჩვენს გოდორშია (და ისიც სულ ფსკერზე, რადგან მასალების განხილვის დროს პირველად თქვენი წერილი შეგვხდა), ამას, წარმოიდგინეთ, თქვენც კი მიხვდებით.

ეს თუ სიმღერაა (სიმღერის ხოშხე ვარ და უნდა ვიმღერო“-ო), მაშინ მამლის ყვირილი ბულბულის ვალაბა ყოფილა.

თუ ვინცოთაა კიდევ გამოგვიგზავნით სატარტარო-ზო მასალა (ხოლო ასეთი კი არა), იცოდეთ, წერილი უნდა დასწეროთ ქალაქის ცალ გვერდზე მელნით და გარკვეული ხელით, რაც სავალდებულოა არა მარტო თქვენთვის, —ყველა თანამშრომელისათვისაც.

**მ. გოგივილი:** შე კაი კაცო, თუ კი: „ეხლა წინ ხართ თქვენს გემოზე მოსვენებულად და მყუდროდ“ — რაღა ამისანა წერილისათვის იწუნებდით თავს?

**ქართვოლლის (მუხიანი).** თქვენ გვწერთ: „ფარცხანაყანეველებს უნდათ მუხიანიდან სადგური ფარცხანაყანევის ბაქანზე გადითანონ“-ო. ამის გამო: დაფაცურდნენ მუხიანელები და დაარსეს: ფოსტა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, ბანკი, რადიო, ბაზრობა და სხვა.

ეს კარგი საქმეა. აქ რა არის საძრახისი? პირიქით! ნეტავ სხვებიც მიბაძვდნენ ამ მაგალითს.

**„იოტიპიტიის“.** (ზემო-კრიხი, რაჭა). იმიტომ გიპასუხებთ, რომ —არ შეცდეთ და ეს წერილი არ გააგროძელოთ. ნუ თუ თქვენს კოოპერატივში არც მარალაა, რომ ამ წერილისათვის ასე გრამი მაინც გემოკრათ?

**პატარას (ლანჩხუთი).** სადგურზე სწერთ რომ:  
საქონელი: ბატი, იხვი  
მუდამ არის აქა.  
ნეტა რას შვრება ეს ხალხი,  
რომ დაუღიათ ხახა?

ალბად ბატისა და იხვის გადასაყლაპავად დაეღიათ ხახა, (თუ კი, რასაკვირველია, შემწვარი იქნება ბატი და იხვი).

რა გაეწყობა! განა ცოტა ბატები დადიან სადგურში. (დადიან კი არა, —კიდევ მსახურობენ; მსახურობენ კი არა, —ტარტაროზკორობასაც იჩემებენ).

**ქლუნვის (ს. ვანი, გურია).** როგორც თქვენი ფსკერ-ლონიმიდან სჩანს, ღვინო არც თქვენ გყვარებათ სხვებზე ნაკლებ, მაგრამ მაინც იხილეთ „ჯოჯოხეთის კუთხე“.

**ნაპირწყალს (ხონი, ძაფხალები ქარხანა).** ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხანმოკლეა სიმღერა:

შენ გამგე ხარ, მე ფაბკომი,  
რას დავაკლებს სხვისი მტრობა.  
და ჩვენ მუდამ ვიარსებებთ,  
თუ გვექნება კარგი ძმობა.  
ფითრახოს (სამტრედია). მიმართეთ მილაკას თუ:  
ფოცხვერია დიმიტრისა  
ცოლი არის მარიაო,  
და ამ ქალმა მეზობლები  
დომხალივით არიაო.

**გორბოს (ყულევი).** თქვენი ბრალდება აღმასკომის თავმჯდომარის მიმართ აშკარად პირადად მოსაზრებითაა დაწერილი.

სკოლის მოწაფემაც კი იცის შოთას ს. ტყეება:  
ლეკვი ლომისა სწორია,  
ძუ იყოფს თუნდაც ხვადია.

**№ 100 (სოფ. მალაქი, ფოთ).** კარგი საქმე უქნიათ წითელი სასადილოს გამგეებს, რომლებმაც „დავ მოუვიდათ თუ რომელია მათში უფროსი“.

ვაჭარებს, გამოჭარეს ერთმანეთს დაუღილავეს ცხვირია.  
„აღექსანდრემა მოგვკლოა“  
ვასილ, თედორე ყვირიან.

უკვე გაუსამართლებიათ ერთმანეთი, და ტარტაროზი რაღა საქირია.

ხოლო რაც შეეხება მაქსიმესა და კოქას, ამბავს, გეტყვით შემდეგ მაგალითს, რომელიც ჩვენს სოფელში მოხდა:

წყალში კვარტები დაინახა ერთმა სოფელმა. მიიპარა. როცა პატრონი წამოესწრო, თავი ასე იმართლა: კი არ მომიპარავს, კვარტები წყალში დაიხრჩობოდაო და დახრჩობას გადავარჩინეო.

მაქსიმესა და ამ სოფელს შორის რაღაც ნათესაობა უნდა იყოს. კარგად წავა თქვენი კოლექტივის საქმე.

**ლაშოს.** პა, ვბეჭდვთ:  
გამეღვიძა დილით,  
უკვე იყო გვიან.  
დამავიწყდა — თურმე  
სახელად რა მქვია.  
წამოვბთი და სწრაფად  
შეუღეკი წერას.  
თვითონ არა ვიცი  
ვსწერ ქალაქზე მე რას.

ჩვენც ვერაფერი გავიგეთ და გადავგზავნეთ უფსკერო გოდორში, სადაც გყავს ისეთი სპეცები, რომლებიც გაიგებენ იმას, რაც თქვენ გინდოდათ.

**წინაშვილს.** თქვენ გვწერთ: „მამაჩემი სოფლას პირობაზე პოეტი იყო და იცოდა ლექსების შეთხზვა. მაგ., მისი ლექსია:

დახსულ ყანას რომ ვტივბდი  
მე აბდალი „ნუუუუდი“.  
ყველაფრისთვის რომ გავგეძლო,  
ფარადათს ვერ გავუძელით.

მართალია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამას“, მაგრამ თქვენ ვერ ამართლებთ ამას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სტუდენტი ხართ, ხოლო მამა თქვენი სოფლელი უსწავლელი კაცი იყო.

აბა წავიკითხოთ თქვენი ლექსი:  
მინდორში წამოვგორდი და  
მალლა ვიცქერი ცაშია.  
დედა მიძახის „კუხნიდან“:  
მო, შვილო, ჰამე ქაშია.

ყოველ შემთხვევაში ასეთ ლექსის წერას, მართლაც-და ქაშის ჰამა სჯობს.

შემდეგი ოთხი სტრიქონი ხომ ყველაზე შეუღარებელია:

გავიკრიჭე გუშინ თავი,  
დავიტოვე წინ ქოჩორი.  
ბარიშნებსა ბანი ვუთხარ,  
ყურაყინობდი ვით ჩოჩორი.

აი, ეს კი სრული სიმართლეა.

**„ძამია - კოდალას“ (ოზურგეთი) გვწერთ:**

რაც იქნება, იქნეს,  
დაგვიბეჭდე აგი,  
ჭუ გინდ იყოფს, ძამია,  
ეს წერილი ბრაკი.

შევასრულეთ, მხოლოდ აწ კიდევ არ გამოგვიგზავნო ასეთი ლექსი.

# უკანასკნელი ღარტყმა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გასუქდა სისხლით ქვეწარმავალი  
 და ხოცვა-უღებთა სწადია იხევ,  
 ვერ გაძლა მსხვერპლით მხეცი მტარვალი,  
 გველის წიწილებს სისინით გვისეფს.  
 მაგრამ გაკაჟდა დღეს ჩვენი ნება,  
 ძალა აშხედრებს მშრომელთა რისხვას;  
 პროლეტარებს მსოფლიო მკლავი  
 სისხლის მწოვერებს თავს გაუსრისავს!